ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3637029

ნომერი: AR1550026

თარიღი : 18.10.2017

გაცემის თარიღი : 25.10.2017

გაცნობის თარიღი : 25.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნინუას ქუჩა N3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ვედიაშვილი პ/ნ 01030002912
- თბილისი კ.ხეთაგუროვის ქ. N 40

ორგანიზაცია:

- შპს დაჩი-98 კოდი: 200043265

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

-ვინაიდან სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად მესაკუთრეს, შპს დაჩი-98-ს წარმოადგენს 2 დირექტორი, წარმოსადგენია განმცხადებლის ერთპიროვნულად წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მეორე დირექტორი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

-ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთს არ აქვს მისასვლელი გზა შესაბამისად მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილ უნდა იქნას მისასვლელი სამანქანო გზით. საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

-21/08/2017წ. AR1534339 განცხადებაში და ამ ეტაპზე თქვენ მიერ ატვირთული არსებული სიტუაციის ფოტოსურათების მიხედვით ტერიტორიაზე ფიქსირდება დაწყებული მშენებლობა რომლის კანონიერების საკითხიც გაურკვეველია. უკანონოდ ნაწარმოებ მშენებლობის შემდგომ განვითარებაზე კი სამსახური თანხმობას ვერ გასცემს. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისთვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ ან უნდა განახორციელოთ ნაწარმოები მშენებლობის დემონტაჟი, რომლის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინოთ განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები და მასთან ერთად ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დადგენილება, უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის განხორციელებული დემონტაჟის თაობაზე.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.